აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №44

18/10/2016 წელი **ქ. ბათუმი**

„საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 6 სექტემბრის №36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 6 სექტემბრის №36 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე და ხელმძღვანელ პირებზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ერთჯერადად გასაცემი დანამატის ოდენობა განისაზღვროს, „2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების ხელფასების განსაზღვრის შესახებ“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 25 აგვისტოს N373/2016 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ნამუშევარი დღეების შესაბამისად გაცემული შრომის ანაზრაურების 50%-ის ოდენობით.“

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი